27/12/2024

MES 3 24 0001669316

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 13.12.2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:55 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე (I, II, III, IV)
სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე (V)
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე -** სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. გოჩა თუთბერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;

4. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
5. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
7. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
8. ვასილ კიკუტაძე - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
9. დიანა მჭედლიშვილი – შპს „კავკასიის უივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
10. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
11. ქეთევან ნანობაშვილი – შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
1. ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. ლალი ოდიშვილი-უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
3. ნანა კავლელაშვილი-უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:
არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნათია გოლიაძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
მაია ამაშუკელი - დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ქეთევან ნოზაძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ქეთი ცხადაძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ეკა გეგეშიძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ნოდარ ხერხეულიძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
მარიამ ჯანჯარია - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:
ნინო მატარაძე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი
არჩილ აბაშიძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაკა ლაშხია - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნიკოლოზ ყაველაშვილი - ფაკულტეტის დეკანი.

შპს ალტე უნივერსიტეტი:
რამაზ კუკულაძე - პრეზიდენტი;
გიორგი აბაშიშვილი - სკოლის დეკანი;
მიხეილ თოქმაზიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო ალავიძე - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანი - ვიცე პრეზიდენტი აკადემიურ საქმეთა და კვლევის მიმართულებით;
ნანა მიქაშავიძე - სკოლის დეკანი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი:
ლევან ქისტაური - ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
ლელა მირცხულავა - საგანმანათლბლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ბაია ჯაფარიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

აკრედიტაციის ექსპერტები
1. ეკა ლეკიშვილი
2. ნათია გეგელაშვილი
3. თამაზ უზუნაშვილი
4. თამარ კბილაძე
5. თამარ ბერიშვილი
6. ქეთი ცხადაძე
7. ნინო ფარსადანიშვილი
8. ილია ბორცვაძე
9. ვაჟა კელიხაშვილი
10. რუსუდან სეთურიძე
11. ანი ქვათაძე
12. ალექსანდრე კალანდაძე
13. მანანა ხაჩიძე
14. სტეფან ვეიტი Stefan Veith
15. რაინალდ კასპრიკი Kasprik Rainald

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **თამარ ლომინაძემ.**
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო (ინგლისურენოვანი), "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო,

"ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო, "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო (ინგლისურენოვანი), "ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ალტე უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ალტე უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ჩრდილოეთ კენტუკისა და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ბიზნეს ინფორმატიკის" ერთობლივ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო (ინგლისურენოვანი), "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო, "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო, "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო (ინგლისურენოვანი), "ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ალტე უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ალტე უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ჩრდილოეთ კენტუკისა და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ბიზნეს ინფორმატიკის" ერთობლივ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** შპს საქართველოს უნივერსიტეტი "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო (ინგლისურენოვანი), "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო, "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო, "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო (ინგლისურენოვანი), "ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა -180
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

2. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამი სდასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ინგლისური
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა -180
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი,
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

3. "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - საჯარო მმართველობა
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა -180
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საჯარო მმართველობის ბაკალავრი
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

4. "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნეს ანალიტიკა
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლებისენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა -180
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი,
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

5. "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნეს ანალიტიკა
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ინგლისური
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა -180
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი,
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

6. „ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - „ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა -60

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, სტეფან ვეიტი (Stefan Veith), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი შპს საქართველოს უნივერსიტეტს 2024 წლის 5-7 სექტემბერს ეწვია. მისი თქმით, პირველი და მეექვსე პროგრამები შეესაბამება სტანდარტებს. მეორე პროგრამა პირველ და მეოთხე სტანდარტს სრულად, ხოლო მეხუთე სტანდარტს არსებითად აკმაყოფილებს. მესამე, მეოთხე და მეხუთე პროგრამა შესაბამისობაშია მეორე, მესამე და მეოთხე მოთხოვნებთან, ხოლო პირველთან მიმართებით არსებითად. მისი თქმით, პროგრამების მიმართ გაიცა 15 რეკომენდაცია და 3 რჩევა. გაცემული რეკომენდაციები არ წარმოადგენდნენ კრიტიკულ რეკომენდაციებს. ისინი ძირითადად ეხებოდა დოკუმენტების განახლებას. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დასკვნაში და ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გაეცნოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არჩილ ჯანგირაშვილი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში ნაყოფიერი იყო, რადგან ბევრ თემაზე გაიმართა დისკუსია. მისი თქმით, უნივერსიტეტი გარე შეფასებას ძალიან დიდი ყურადღებით ეკიდება თითოეული პროგრამის განვითარების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას სასწავლო კურსის პროგრამებთან დაკავშირებით. მისი თქმით, უკეთესი იქნება თუ ინგლისურენოვანი სასწავლო პროგრამების თარგმანი კვალიფიციურად შესრულდება. მაგალითად, „ელექტრონული მმართველობა“ ერთ-ერთ ინგლისურენოვან პროგრამაში ნათარგმნია როგორც „Email Government“. შესაბამისად, კარგი იქნება თუ დაწესებულება ყურადღებით მოეკიდება ამ

საკითხს. მისი თქმით, „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან 180 კრედიტიან პროგრამაში არის „პროექტების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი, რომლის ერთ-ერთი შედეგი არის შემდეგი: „ადგენს პროექტის ამოცანებს, გრაფიკულად გამოსახავს განტის დიაგრამას, გამოითვლის პროექტის ვადას და შეუსაბამებს რესურსების პროექტების ფაზებს. მან აღნიშნა, რომ ეს არის პრაქტიკული სამუშაო, რომელსაც სჭირდება პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება იმისთვის, რომ ეს შედეგი მიღწეული იყოს მაშინ, როდესაც სასწავლო პროგრამებში არის მხოლოდ ლექცია - სემინარი და არაფერია ნათქვამი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ. აღნიშნულ საგანში მითითებულია, რომ ეს არის პროექტზე დაფუძნებული სწავლება და გუნდური მუშაობით სრულდება გარკვეული სამუშაოები, თუმცა ამაზეც არანაირი ინფორმაცია არ არის მოცემული. მან დაწესებულებას მიმართა, რომ ყოველივე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გაეკეთებინა.

„ბიზნესის ადმინისტრირების” პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია გოლიაძემ, აღნიშნა, რომ “პროექტის მენეჯმენტის” სასწავლო კურსში წარმოდგენილია სემესტრული ნაშრომი, რომელიც არის პროექტი. სტუდენტი ამ უკანასკნელს აკეთებს შესაბამისი თემატიკის მიხედვით მესამე - მეოთხე კვირაში. შეფასება ინდივიდუალურია, თუმცა გარკვეული განახლება ამ ჯგუფებს შორის ხდება ჯგუფური მუშაობის უნარის გამომუშავების მიზნით. ამ ეტაპზე ეს საგანი პროგრამული უზრუნველყოფით არ ისწავლება და სტუდენტი „განტის“ დიაგრამას და პროექტის საბოლო ვადებს „Microsoft Excel“-ში აკეთებს. სწავლების მეთოდში მითითებულია პროექტებზე დაფუძნებული სწავლება. ლექცია-სემინარი არის მხოლოდ ხანგრძლივობა.

თამარ ლომინაძემ აღნიშნა, რომ "მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების“ სასწავლო პროგრამა ძალიან ზოგადია. მაგალითად, წინაპირობებში „C Sharp”-ი და პროგრამირების ენა „Python”-ია მითითებული. მას აინტერესებდა, რატომ სჭირდებოდა სტუდენტს აღნიშნული პროგრამების შესწავლა. მისი თქმით, მოცემულ სასწავლო კურსში ერთ-ერთი შედეგი შემდეგი შინაარსით არის მოცემული: „ელექტრონული მმართველობის პრინციპებისა და მიდგომების გათვალისწინებით სტუდენტი ქმნის ორგანიზაციის ინფორმაციულ სისტემას“. მას აინტერესებდა, ამ სილაბუსით და წარმოდგენილი მასალით რამდენად შეძლებს სტუდენტი ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის შექმნას. მან აღნიშნა, რომ არსებობს გარკვეული შეუსაბამობები აღნიშნულ პროგრამაში. მაგალითად, ერთ-ერთი სილაბუსის შედეგში მოცემულია, რომ სტუდენტი გაეცნობა ინფორმაციული სისტემის სასიცოცხლო ციკლს და მისი შემუშავების ეტაპებს მაშინ, როდესაც სილაბუსის თემა არის პროგრამული უზრუნველყოფის სასიცოცხლო ციკლი.

მაია ამაშუკელმა აღნიშნა, რომ სანამ აღნიშნული შეხვედრა დამთავრდებოდა, მანამდე დაწესებულება დაუკავშირდებოდა მოცემული საგნის ლექტორს დასმული შეკითხვების გაცემის მიზნით.

ქეთევან ნოზაძემ განაცხადა, რომ შესაძლებელია ამ საგნის ლექტორი გულისხმობდეს იმას თუ რა დგას ამ მონაცემების უკან საკუთარი სისტემებით. ასევე თითოეული სისტემიდან რა მონაცემებს უნდა ელოდოს, როგორც მონაცემთა წყარო და ეს ყველაფერი როგორ უნდა დამუშავდეს და რა ფორმით უნდა გამოისახოს. სტუდენტს არ უნდა ჰქონდეს ზედაპირული ხედვა მის პროფესიასთან. როდესაც მას ტექნიკურ გუნდებთან ექნება შეხება, ზუსტად უნდა იცოდეს თითოეული სისტემის მუშაობის პრინციპი.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ზოგიერთ სილაბუსში მოცემულია „თავისუფალი კვირა“. მას აინტერესებდა, რას ნიშნავდა ეს.

მაია ამაშუკელმა განაცხადა, რომ „თავისუფალი კვირა“ არის განვლილის მასალის შეჯამება, სანამ დასკვნითი გამოცდები დაიწყება. ის თავისუფალი შეკითხვები, რომლებიც ვერ დაიფარა სტუდენტისა და ლექტორის შეხვედრის დროს, „თავისუფალი კვირის“ ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მიმართოს ლექტორს კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხის მიღების მიზნით.

თამარ ლომინაძემ აღნიშნა, რომ ვერ ნახა დებულებაში რამდენ სასწავლო კვირას მოიცავდა სემესტრი. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ სასწავლო კვირების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია დებულებაში არც უნდა იყოს მოცემული. დაწესებულებაში არსებობს „კომპეტენციის ცენტრი“. მაგალითად, სამართლის ფაკულტეტს თუ სურს, რომ შექმნას ისეთი კურსი, რომელსაც ბიზნესის კომპეტენცია ექნება, მაშინ უნდა მოხდეს ამ სილაბუსების მიწოდება ან დაკვეთა. შესაბამისად, ის სილაბუსები, რომლებიც უკვე არსებობს და მიწოდებულია საგნისთვის, მას შეიძლება ჰქონდეს წინაპირობები განსაზღვრული, რომელიც შეიძლება სხვა პროგრამიდან მოდიოდეს. მისი თქმით, შიდა სისტემა არ უშლის ხელს, რომ ეს კომპეტენციები გადავიდეს სხვა სილაბუსში. რაც შეეხება თარგმანის ნაწილს, შესაძლებელია ამ კუთხით ყოფილიყო მცირე ხარვეზები, რომელიც გასაკვირი არ არის. მისი თქმით, სასწავლო კვირების რაოდენობა არ არის ჩაშლილი სახით მოცემული დებულებაში. ეს განსაზღვრულია აკადემიური კალენდრით, რომელიც საჯაროა ყველასთვის. ბაკალავრიატში 13, ხოლო მაგისტრატურაში 14 სალექციო კვირა არის მოცემული. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება შუალედური შეფასებებიც. თავისუფალი კვირა ეკუთვნის საგამოცდო და არა საკონტაქტო საათების ნაწილს.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას „ბიზნეს ანალიტიკის“ პროგრამასთან დაკავშირებით. მისი თქმით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ბიზნესის ადმინისტრირება. შესაბამისად, დაწესებულებამ, რომ კურსდამთავრებულს მიანიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაცია, ის უნდა ფარავდეს ბიზნესის ადმინისტრირების ყველა სფეროს. მისი თქმით, ძირითად საგნებში არ არის მოცემული მარკეტინგის არცერთი სასწავლო კურსი. მას აინტერესებდა, რის მიხედვით იყო ეს გამოწვეული.

„ბიზნეს ანალიტიკის“ პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთი ცხადაძემ, აღნიშნა, რომ როგორც ქართულ, ისე ინგლისურენოვან პროგრამაში არის „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლები“, სადაც განხილულია მარკეტინგის საკითხები. გარდა ამისა, ძირითადი საგნების ბლოკში არსებობს „მომხმარებლის გამოცდილების კვლევისა“ და „ბიზნეს ინტელექტის“ სასწავლო კურსი, რომლითაც იფარება ეს კომპეტენცია. ასევე არჩევითი საგნების ბლოკში მოცემულია „მომხმარებლის ქცევა და მარკეტინგი“ და „ციფრული მარკეტინგის საფუძვლები“. ამ ეტაპზე ბიზნეს ანალიტიკის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ არსებობს. შესაბამისად, ამ სამი მიმართულების კომბინაციით, კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირებით, მათემატიკითა და IT მიმართულებით ხდება ბიზნეს ანალიტიკოსისთვის საჭირო კომპეტენციის მინიჭება.

ქეთევან ნოზაძემ აღნიშნა, რომ ბიზნეს ანალიტიკოსის პროფესია არის უფრო მენეჯმენტის ნაწილი. შესაბამისად, კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს ადამიანებთან ურთიერთობა და ამიტომ არის წინ წამოწეული მოცემულ პროგრამაში „HR”-ი და „მენეჯმენტი“.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „პროექტების მენეჯმენტის“ და „ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლების“ წინაპირობა არის „ბიზნესის და ეკონომიკის“ სასწავლო კურსი, რომლის სილაბუსი არ იძებნება წარმოდგენილ დოკუმენტებში. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.

ნათია გოლიაძემ განაცხადა, რომ „ბიზნესის და ეკონომიკის“ სასწავლო კურსის სილაბუსი წარმოდგენილია დოკუმენტებში. მისი თქმით, დაწესებულებაში დიდი ხანია ისწავლება ეს კურსი, რომელიც შესავალი საგანია და მისი ყოველი თავი დაფუძნებულია მენეჯმენტის თითოეულ ფუნქციურ დეპარტამენტზე. ეს კურსი მთლიანად არ ფარავს მენეჯმენტის საფუძვლებს, თუმცა ერთი თავი ამ საკითხს სწავლების პერიოდში ეთმობა. „მენეჯმენტის საფუძვლების“ წინაპირობად განსაზღვრა კომპეტენციურად აღარ არის საჭირო იმიტომ, რომ „ოპერაციათა მენეჯმენტი“ იფარება არ მენეჯმენტის საფუძვლებში, არამედ ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლების ერთ-ერთ თავში. ერთადერთი საგანი, რომელიც სტუდენტს შესავალ წარმოდგენას უქმნის დარგის შესახებ, „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლებია“.

ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, საბაკალავრო პროგრამების ზოგიერთი პროგრამის სწავლის შედეგი მხოლოდ გაცნობაზეა ორიენტირებული. შეფასების დროს განმტკიცების ნაწილში ხდება ამ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. მას აინტერესებდა, ეს ფაქტი როგორ აიხსნებოდა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების შიდა ხარისხის მექანიზმი ორიენტირებულია კონკრეტულ და გასაგებ შედეგზე. უნივერსიტეტს აქვს პლატფორმა - „პირდაპირი შეფასების მექანიზმი“. დაწესებულებას აქვს დიდი საგამოცდო სივრცე, სადაც სტუდენტი კომპიუტერის გამოყენებით წერს გამოცდას. ეს პროცესი მთლიანად დაციფრულია. მისი თქმით, კეთდება კითხვების ბანკი, რომელსაც ყოველ სემესტრულად აახლებს ლექტორი. ამ კითხვების საკითხების დაკავშირება ხდება შედეგთან. ეს დამატებით იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ამ საკითხებით პირდაპირ ინახოს კონკრეტული შედეგის გაზომვის საშუალება.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „ბიზნესის ადმინისტრირების“ 180 კრედიტიანი პროგრამის მეხუთე სწავლის შედეგი შინაარსობრივად მოიცავს ორ სწავლის შედეგს. გარდა ამისა, 12 სწავლის შედეგის არსებობა არ არის პროგრამაში სასურველი, რადგან ეს აძნელებს გაზომვისა და შეფასების პრობლემას. კარგი იქნება თუ დაწესებულება ამ საკითხს უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს. მისი თქმით, მოცემული პროგრამის მეექვსე და მერვე სწავლის შედეგი ერთი და იგივე შინაარსს იმეორებს. მაგალითად, მეექვსე შედეგი ამბობს, რომ საინვესტიციო შედეგების მომგებიანობის და რისკის გამოთვლის შედეგად ახდენს ინვესტიციის მომგებიანობის იდენტიფიცირებას, ხოლო მერვე შედეგში აღნიშნულია, რომ ახდენს მიზნებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას. ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა, რომ დაწესებულება შემოფარგლულიყო ერთ-ერთი შედეგით, რათა თავიდან აეცილებინა შედეგების შინაარსობრივი გამეორება. მისი განმარტებით, რომ მესამე სწავლის შედეგი ამბობს შემდეგს: „დეტალურად აღწერს ბიზნეს გარემოს, ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებში მიმდინარე მოვლენებს და პროცესებს“. მისი თქმით, ბიზნესის ეთიკურ სამართლებრივი გარემო მხოლოდ გაცნობითი სახით გადიოდა ამ შედეგზე, ხოლო მიკრო და მაკრო ეკონომიკის და საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები საერთოდ არ გადიოდა. მას აინტერესებდა, რა აზრის იყო დაწესებულება ამ საკითხთან დაკავშირებით.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა სწავლის შედეგების რაოდენობასთან დაკვშირებით აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა გოჩა თუთბერიძის მოსაზრებას. მისი თქმით, სწავლის შედეგების რაოდენობას განსაზღვრავს დაწესებულება. შესაბამისად, ამ უფლებაში ჩარევა დაუშვებელია, რადგან არცერთი სამართლებრივი დოკუმენტით არ არის დადგენილი სწავლის შედეგების ზღვრული რაოდენობა. რა თქმა უნდა, უკეთესია, რომ სწავლის შედეგები იყოს სკრუპულოზურად ჩამოყალიბებული, მაგრამ ეს იმპერატიულ ხასიათს არ უნდა ატარებდეს.
ნათია გოლიაძემ განაცხადა, რომ „ბიზნესის ადმინისტრირება“ არის მულტიფუნქციური მიმართულება. შესაბამისად, მარკეტინგის მენეჯმენტის, ფინანსებისა და „ექაუნთინგის“ კომპეტენციები დასაფარია. დაწესებულება ეცადა, რომ ამ რაოდენობის სწავლის შედეგებში გამოეჩინა ყველა ძირითადი კურსის საგნის როლი. გარემოს ნაწილში აუცილებლად მონიშნული უნდა იყოს მიკრო და მაკრო ეკონომიკა. ეს შეიძლება ხარვეზია. განმტკიცების საგნებად დაწესებულება უფრო მაღალი კურსის საგნებს მოიაზრებს. სასწავლო კურსები „სტრატეგიული მენეჯმენტის“, „ორგანიზაციული კულტურა და თანამშრომლების მოტივირება“ მნიშვნელოვნად ფარავს გარემოს, ანალიზისა და შესწავლის კომპონენტს. ის, რომ ერთი შედეგი შეიძლება მოიცავდეს ორ შედეგს, მოცემულ შემთხვევაში რელევანტურია, რადგან აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ სიტყვაზე, კერძოდ, „ააწყო“ და „შეხედა“. შედეგი იმ შემთხვევაში იქნება მიღწეულად თუ სტუდენტი ორივეს შესრულებას, რადგან „და“ კავშირიანი წინადადება ლოგიკის თვალსაზრისით გულისხმობს ორივეს შესრულებას. თუ მხოლოდ „ააწყო“ და არ „შეხედა“, მაშინ ის ვერ შეასრულებს ამ შედეგს.
საბჭოს წევრის, გოჩა თუთბერიძის თქმით, ერთია შეადგინო ანგარიშგება და მეორეა შეაფასო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. შესაბამისად, ამ საკითხების ერთ შედეგში გაერთიანება ფუნდამენტურად არასწორია. მან აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების რაოდენობასთან

დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება იყო მხოლოდ რჩევა და არა რეკომენდაცია, თუმცა როგორც „Equal“-ის სტანდარტი ამბობს, 10 სწავლის შედეგი არის ის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შეიძლება პროგრამებს ჰქონდეთ მიღწევის ადეკვატური შეფასების მიზნით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მიკრო და მაკრო ეკონომიკის და საგადასახადო დაბეგვრის პრინციპების მიმართ დაწესებულებამ სიღრმისეულად უნდა იმუშაოს, რათა გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი. არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ მოცემული რაოდენობით წარმოდგენილი სწავლის შედეგებით არაფერი შავდებოდა. მისი თქმით, ასეთი რჩევის მიცემით ყალიბდება ცუდი პრაქტიკა, კერძოდ, როდესაც ექსპერტი დაწესებულებას ეუბნება, რომ ნაცვლად 12 შედეგისა უნდა იყოს ათი, რადგან დარგობრივი დოკუმენტი ამას ამბობს, მიუღებელია იმიტომ, რომ ეს დოკუმენტი სამართლებრივ დოკუმენტს არ წარმოადგენს და არანაირ მოთხოვნას არ აფუძნებს.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, როგორც წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამა არის 180 კრედიტიანი. რუბრიკაში პროგრამის სწავლების ორგანიზების თავისებურებები მითითებულია არჩევითი ძირითადი საგნები და შემდეგ წერია, რომ დარჩენილი კრედიტების შევსება სტუდენტს შეუძლია საბაკალავრო პროგრამის დანარჩენი საგნებიდან. მისი თქმით, დანარჩენი საგნები არის სხვადასხვა არჩევითი საგნების ბლოკი, რომელშიც რამდენიმე სასწავლო კურს მითითებული აქვს მეშვიდე სასწავლო სემესტრი, რომელიც პროგრამას არ აქვს. მას აინტერესებდა, რით იყო ეს გამოწვეული.
ნათია გოლიაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში მეშვიდე, მერვე სემესტრი არ არის, რადგან პროგრამა 3 წლიანი. მისი თქმით, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:24
დასრულების დრო: 16:03

პროგრამა 1.
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 13 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 13 დეკემბერამდე.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის აღწერილობების განახლება ისე, რომ კრედიტების ჯამური რაოდენობა შეადგენდეს 180-ს. ეს უზრუნველყოფს თანხვედრას პროგრამის ტექსტურ ნაწილში და ცხრილებში მითითებულ არჩევითი კურსების კრედიტებს შორის.
- რეკომენდებულია პროგრამაში განახლდეს კონცენტრაციების საგნების სემესტრული განაწილება. კერძოდ, რეკომენდებულია საბუღალტრო კონცენტრაციაში კურსი "დაბეგვრა" გადატანილ იქნას მე-7 სემესტრიდან სხვა სემესტრში. რეკომენდებულია, ასევე ყველა კონცენტრაციის სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანა ისე, რომ მე-5 და მე-6 სემესტრში შეთავაზებული კურსების რაოდენობა იყოს ერთნაირი ყველა კონცენტრაციისთვის.
- რეკომენდებულია მდგრადი მენეჯმენტის, მდგრადი ფინანსებისა და/ან მდგრადი ბუღალტერიის თემების ჩართვა, ორივე "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაში მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით. მოსალოდნელია, რომ ისინი უახლოეს მომავალში უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენენ.
- რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის არჩევით კურსად შეთავაზება, "ბიზნესის ადმინისტრირებისა" და "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ეს უკვე განხორციელებულია პროგრამა 5-ში (ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა "ბიზნეს ანალიტიკა") და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ნიმუში.
- რეკომენდებულია, დეტალური ინფორმაციის მითითება ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნების, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის, ასევე შიდა და გარე მობილობის პროგრამის მეშვეობით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ. ასევე რეკომენდებულია დეტალური ინფორმაციის ჩართვა შიდა და გარე მობილობის პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოიპოვოს წვდომა ისეთ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც შეიცავს ფინანსურ და/ან ეკონომიკურ ინფორმაციას, უპირატესად საერთაშორისო ბაზრების შესახებ.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა რეგულაციის ახალ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობითი ნაწილის გადახედვა."

რჩევები:

- "სასურველია დაკორექტირდეს კურიკულუმის რუკა, რათა აისახოს შედეგების განვითარების თანმიმდევრობა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის როლი პროგრამის შედეგების მიღწევაში;
- სასურველია უნივერსიტეტმა ან სკოლამ, იმისათვის, რომ უპასუხოს გამოწვევებს, შეიმუშაოს სტრატეგია ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ - როგორც მათი რეგულირების, ისე სასწავლო და კვლევით პროცესში მათი დანერგვის მიმართულებით.
- სასურველია, ფაკულტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტებისთვის სტაჟირების მოძიების გასამარტივებლად.
- სასურველია სემესტრის ბოლოს „მრგვალი მაგიდების“ ჩატარება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და უკუკავშირის უზრუნველსაყოფად.

პროგრამა 2

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 13 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 13 დეკემბრამდე.
განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის აღწერილობაში უფრო ზუსტად იყოს მითითებული, თუ როგორ ნაწილდება 54 კრედიტი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დანარჩენ ნაწილზე. ეს უნდა შეესაბამებოდეს იმ კონცენტრაციებს, რომელთაგან თითოეულს 30 კრედიტი.
2. რეკომენდებულია პროგრამაში განახლდეს კონცენტრაციების საგნების სემესტრული განაწილება. კერძოდ რეკომენდებულია ფინანსების კონცენტრაციაში კურსის „კორპორატიული ფინანსები (შუალედური)“ გადატანა მე-7 სემესტრში. საბუღალტრო კონცენტრაციაში მე-5 სემესტრში შეთავაზებულია ერთი კურსი, ხოლო მე-6 სემესტრში - ოთხი კურსი. რეკომენდებულია, ამ კონცენტრაციის სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანა სხვა კონცენტრაციებთან.

1. რეკომენდებულია მდგრადი მენეჯმენტის, მდგრადი ფინანსებისა და/ან მდგრადი ბუღალტერიის თემების ჩართვა, ორივე "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაში მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით. მოსალოდნელია, რომ ისინი უახლოეს მომავალში უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენენ.
2. რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის არჩევით კურსად შეთავაზება, "ბიზნესის ადმინისტრირებისა" და "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ეს უკვე განხორციელებულია პროგრამა 5-ში (ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა "ბიზნეს ანალიტიკა") და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ნიმუში.
3. რეკომენდებულია, დეტალური ინფორმაციის მითითება ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნების, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის, ასევე შიდა და

გარე მობილობის პროგრამის მეშვეობით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ. ასევე რეკომენდებულია დეტალური ინფორმაციის ჩართვა შიდა და გარე მობილობის პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ.

4. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოიპოვოს წვდომა ისეთ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც შეიცავს ფინანსურ და/ან ეკონომიკურ ინფორმაციას, უპირატესად საერთაშორისო ბაზრების შესახებ.
5. რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა რეგულაციის ახალ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობითი ნაწილის გადახედვა.
6. რეკომენდებულია ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამებისთვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის ინგლისურ ენაზე წარმოდგენა, მაგალითად, შეფასების ფურცლებისა და წინაპირობების ცხრილების. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ უცხოელმა სტუდენტებმა შეძლონ ამ პროცესებში მონაწილეობის მიღება და ამ დოკუმენტების გაგება.

რჩევები:

1. სასურველია დაკორექტდეს კურიკულუმის რუკა, რათა აისახოს შედეგების განვითარების თანმიმდევრობა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის როლი პროგრამის შედეგების მიღწევაში;
2. სასურველია უნივერსიტეტმა ან სკოლამ, იმისათვის, რომ უპასუხოს გამოწვევებს, შეიმუშაოს სტრატეგია ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ - როგორც მათი რეგულირების, ისე სასწავლო და კვლევით პროცესში მათი დანერგვის მიმართულებით.
3. სასურველია, ფაკულტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურმა გაამლიეროს მუშაობა სტუდენტებისთვის სტაჟირების მოძიების გასამარტივებლად.
4. სასურველია სემესტრის ბოლოს „მრგვალი მაგიდების“ ჩატარება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და უკუკავშირის უზრუნველსაყოფად.

პროგრამა 3

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 13 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია კვალიფიკაციის დასახელების ინგლისურ ვერსიაში "Bachelor of Public Administration" -ის გამოყენება (და არა "in").
2. რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის არჩევით კურსად შეთავაზება, "ბიზნესის ადმინისტრირებისა" და "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ეს უკვე განხორციელებულია პროგრამა 5-ში (ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ""ბიზნეს ანალიტიკა") და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ნიმუში.

რჩევები:

1. სასურველია დაკორექტდეს კურიკულუმის რუკა, რათა აისახოს შედეგების განვითარების თანმიმდევრობა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის როლი პროგრამის შედეგების მიღწევაში;
2. სასურველია უნივერსიტეტმა ან სკოლამ, იმისათვის, რომ უპასუხოს გამოწვევებს, შეიმუშაოს სტრატეგია ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ - როგორც მათი რეგულირების, ისე სასწავლო და კვლევით პროცესში მათი დანერგვის მიმართულებით.
3. სასურველია, ფაკულტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტებისთვის სტაჟირების მოძიების გასამარტივებლად.
4. სასურველია სემესტრის ბოლოს „მრგვალი მაგიდების“ ჩატარება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და უკუკავშირის უზრუნველსაყოფად.

პროგრამა 4

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ბიზნეს ანალიტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 13 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ბიზნეს ანალიტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 13 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის აღწერილობების განახლება ისე, რომ კრედიტების ჯამური რაოდენობა შეადგენდეს 180-ს. ეს უზრუნველყოფს თანხვედრას პროგრამის ტექსტურ ნაწილში და ცხრილებში მითითებულ არჩევითი კურსების კრედიტებს შორის.
- პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის მითითებულია წინაპირობები, რომლებიც თავად პროგრამაში არ არის წარმოდგენილი. კერძოდ, სასწავლო კურსების ჩამონათვალში არ გვხვდება "ინგლისური ენა III-VI".
- რეკომენდებულია ხელოვნური ინტელექტის პროგრამირების თემის უფრო მკაფიოდ ჩართვა, ან ცალკე კურსის შეთავაზებით, ან არსებული კურსების სილაბუსებში ამ თემის ინტეგრირებით, ორივე "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო პროგრამაში მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის არჩევით კურსად შეთავაზება, "ბიზნესის ადმინისტრირებისა" და "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ეს უკვე განხორციელებულია პროგრამა 5-ში (ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა "ბიზნეს ანალიტიკა") და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ნიმუში.
- რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება შემდეგ კურსებში: „ბიზნეს მოდელირების საფუძვლები“, „ბიზნეს ანალიტიკის პროცესის მენეჯმენტი“, „ბიზნეს კომუნიკაცია ანალიტიკისთვის“, „ბიზნეს ანალიტიკის რაოდენობრივი მეთოდები 2“, „გადაწყვეტილების მოდელირება MS Excel-ში“ და „ოპერაციების მართვის საფუძვლები“.
- რეკომენდებულია, დეტალური ინფორმაციის მითითება ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნების, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის, ასევე შიდა და გარე მობილობის პროგრამის მეშვეობით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ. ასევე რეკომენდებულია დეტალური ინფორმაციის ჩართვა შიდა და გარე მობილობის პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოიპოვოს წვდომა ისეთ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც შეიცავს ფინანსურ და/ან ეკონომიკურ ინფორმაციას, უპირატესად საერთაშორისო ბაზრების შესახებ.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა რეგულაციის ახალ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობითი ნაწილის გადახედვა.

რჩევები:

- სასურველია დაკორექტირდეს კურიკულუმის რუკა, რათა აისახოს შედეგების განვითარების თანმიმდევრობა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის როლი პროგრამის შედეგების მიღწევაში;
- სასურველია პროგრამის სტრუქტურაში გაძლიერდეს მარკეტინგის კომპონენტი;

- სასურველია უნივერსიტეტმა ან სკოლამ, იმისათვის, რომ უპასუხოს გამოწვევებს, შეიმუშაოს სტრატეგია ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ - როგორც მათი რეგულირების, ისე სასწავლო და კვლევით პროცესში მათი დანერგვის მიმართულებით.
- სასურველია, ფაკულტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტებისთვის სტაჟირების მოძიების გასამარტივებლად.
- სასურველია სემესტრის ბოლოს „მრგვალი მაგიდების“ ჩატარება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და უკუკავშირის უზრუნველსაყოფად.

პროგრამა 5
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ბიზნეს ანალიტიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 13 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ბიზნეს ანალიტიკის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 13 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის აღწერილობების განახლება ისე, რომ კრედიტების ჯამური რაოდენობა შეადგენდეს 180-ს. ეს უზრუნველყოფს თანხვედრას პროგრამის ტექსტურ ნაწილში და ცხრილებში მითითებულ არჩევითი კურსების კრედიტებს შორის.
- პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის მითითებულია წინაპირობები, რომლებიც თავად პროგრამაში არ არის წარმოდგენილი. კერძოდ, სასწავლო კურსების ჩამონათვალში არ გვხვდება "ინგლისური ენა III-VI".
- რეკომენდებულია ხელოვნური ინტელექტის პროგრამირების თემის უფრო მკაფიოდ ჩართვა, ან ცალკე კურსის შეთავაზებით, ან არსებული კურსების სილაბუსებში ამ თემის ინტეგრირებით, ორივე "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო პროგრამაში მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

- რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება შემდეგ კურსებში: „ბიზნეს მოდელირების საფუძვლები“, „ბიზნეს ანალიტიკის პროცესის მენეჯმენტი“, „ბიზნეს კომუნიკაცია ანალიტიკისთვის“, „ბიზნეს ანალიტიკის რაოდენობრივი მეთოდები 2“, „გადაწყვეტილების მოდელირება MS Excel-ში“ და „ოპერაციების მართვის საფუძვლები“.
- რეკომენდებულია, დეტალური ინფორმაციის მითითება ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნების, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის, ასევე შიდა და გარე მობილობის პროგრამის მეშვეობით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ. ასევე რეკომენდებულია დეტალური ინფორმაციის ჩართვა შიდა და გარე მობილობის პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოიპოვოს წვდომა ისეთ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც შეიცავს ფინანსურ და/ან ეკონომიკურ ინფორმაციას, უპირატესად საერთაშორისო ბაზრების შესახებ.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა რეგულაციის ახალ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობითი ნაწილის გადახედვა.
- რეკომენდებულია ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამებისთვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის ინგლისურ ენაზე წარმოდგენა, მაგალითად, შეფასების ფურცლებისა და წინაპირობების ცხრილების. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ უცხოელმა სტუდენტებმა შეძლონ ამ პროცესებში მონაწილეობის მიღება და ამ დოკუმენტების გაგება.

რჩევები:

- სასურველია დაკორექტირდეს კურიკულუმის რუკა, რათა აისახოს შედეგების განვითარების თანმიმდევრობა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის როლი პროგრამის შედეგების მიღწევაში;
- სასურველია პროგრამის სტრუქტურაში გაძლიერდეს მარკეტინგის კომპონენტი
- სასურველია უნივერსიტეტმა ან სკოლამ, იმისათვის, რომ უპასუხოს გამოწვევებს, შეიმუშაოს სტრატეგია ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ - როგორც მათი რეგულირების, ისე სასწავლო და კვლევით პროცესში მათი დანერგვის მიმართულებით.
- სასურველია, ფაკულტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტებისთვის სტაჟირების მოძიების გასამარტივებლად.
- სასურველია სემესტრის ბოლოს მრგვალი მაგიდების ჩატარება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და უკუკავშირის უზრუნველსაყოფად.

პროგრამა 6
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 13 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2031 წლის 13 დეკემბრამდე.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოიპოვოს წვდომა ისეთ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც შეიცავს ფინანსურ და/ან ეკონომიკურ ინფორმაციას, უპირატესად საერთაშორისო ბაზრების შესახებ.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა რეგულაციის ახალ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობითი ნაწილის გადახედვა.

რჩევები:

- სასურველია დაკორექტირდეს კურიკულუმის რუკა, რათა აისახოს შედეგების განვითარების თანმიმდევრობა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის როლი პროგრამის შედეგების მიღწევაში

2. მეორე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი "საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 120
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საჯარო მმართველობის მაგისტრი
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, კასპრიკ რაინალდი (Kasprik Rainald), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი უნივერსიტეტში განხორციელდა 30 ივლისს. მისი თქმით, ძალიან ღია და მეგობრული საუბარი წარიმართა კოლეგებთან. საბოლოო მიგნებები ანგარიშში პროფესორებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის შემდეგ აისახა. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არის მკაცრად გაწერილი წესები, რომლებსაც მთელი ფაკულტეტი ემორჩილება. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მიღების შემდეგ ექსპერტებს შორის გაიმართა დისკუსია პირველ და მეორე რეკომენდაციების სტატუსი შეცვლას დაკავშირებით. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა შედეგების პირდაპირი შეფასების პროცედურას, რომელიც გადავიდა რჩევებში. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა შედეგების არაპირდაპირ შეფასებას. მან აღნიშნა, რომ ადმინისტრაციისა და ბიზნესის დარგის სპეციალისტებთან საუბრის შედეგად გადაწყდა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ისევ რეკომენდაციის სახით დარჩენილიყო დასკვნაში. როდესაც საქმე ეხება სასწავლო მიზნების არაპირდაპირ შეფასებას და იმ რეკომენდაციებს, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ არის გაცემული, ფორმალურად უნდა შეფასდეს. მისი თქმით, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დაწესებულებამ დანარჩენი ოთხი რეკომენდაცია სრულად გაიზიარა. ამრიგად, პირველი რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში, ხოლო მეორე რეკომენდაცია უცვლელი დარჩა დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნინო ჟვანია, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისი ინსტრუმენტები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების, მათ შორის, არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით. ეს მექანიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ ელემენტს პროგრამის შიდა შეფასების პროცესში. პროგრამის შეფასება დამსაქმებლების მიერ ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ, რომლებიც ადგენენ შეფასების ანგარიშს და პროგრამის ჯგუფი განიხილავს მათ შენიშვნებს რეკომენდაციებისა და რჩევების სახით. დაწესებულება ნებისმიერ გადაწყვეტილებას პროგრამის შესახებ იღებს არა ერთ, არამედ რამდენიმე მტკიცებულების საფუძველზე. ყველა პროცედურა ამის შესახებ არის ფორმალიზებული და ასახულია პროგრამის განხორციელების შეფასების წესში და გაწერილია იმ ინსტრუქციებში, რომლებიც მოჰყვება თვითშეფასების ანგარიშს. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია უფრო რჩევის, ვიდრე რეკომენდაციის ხასიათს ატარებს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, არჩილ აბაშიძემ, 1.5 სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებდა მათ. მისი თქმით, „ადამიანის ძირითადი უფლებები“ დაფარული იყო „კონსტიტუციურ სამართლის“ სასწავლო კურსში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, როგორებიცაა „სახალხო დამცველი“ (ომბუდსმენი), „საკონსტიტუციო სასამართლო“ და ა.შ. დაწესებულება მუშაობს იმაზე, რომ ეს საკითხი ან არსებული კურსის ფარგლებში უფრო მეტად გააფართოოს, ან ცალკე დისციპლინურ საგნად ჩამოაყალიბოს. შესაბამისად, ამ რეკომენდაციას უნივერსიტეტი იზიარებს. ამავე სტანდარტის მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ევრო ინტეგრაციასთან

და ევროკავშირთან თანამშრომლობასთან დაკავშირებულ კურსს ცალკე საგნად შეიტანს პროგრამაში. მისი თქმით, სტუდენტს არჩევითი კურსების ჩამონათვალიდან შეეძლო აერჩია „საერთაშორისო ურთიერთობები“, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტები თვლიან, რომ სავალდებულო არჩევითი საგანი უნდა იყოს პროგრამაში, დაწესებულება ითვალისწინებს ამ მოთხოვნას. 1.5 სტანდარტში მოცემულ მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტების ვიზიტამდე „სტაჟირება“ იყო სავალდებულო არჩევითი კურსი, თუმცა დღეს ის უკვე გახდა პროგრამის სავალდებულო კომპონენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა იყო განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებამდე სტუდენტს უნდა ჰქონდეს გავლილი ყველა სავალდებულო კურსი. ე.ი. მას პროგრამაში 90 კრედიტი სრულად უნდა ჰქონდეს დაფარული, რომ სამაგისტრო ნაშრომზე დაიშვას.

ვასილ კიკუტაძემ განაცხადა, რომ სავალდებულო არჩევით ბლოკში არის „კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებებში“. მას აინტერესებდა, რამდენად სავალდებულო იყო ამ საგნის განსაზღვრა დაშვების წინაპირობად სამაგისტრო ნაშრომზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, არჩილ აბაშიძემ აღნიშნა, რომ სავალდებულო კურსების ბლოკში მოცემული „პოლიტიკის ანალიზის“ სასწავლო კურსი უფრო მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის, ვიდრე „კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებებში“. არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც სტუდენტს ან საბაკალავრო დონეზე აქვს ნასწავლი ეს უკანასკნელი, ან გამოცდილება აქვს მიღებული პრაქტიკაში. შესაბამისად, ამიტომ არ არის ეს საგანი სავალდებულო ბლოკში მოცემული. დაწესებულებას უფრო მეტი ყურადღება „პოლიტიკის ანალიზზე“ აქვს გაკეთებული.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას „აკადემიურ წერასთან“ დაკავშირებით. მას აინტერესებდა, როგორ ემზადებოდა სტუდენტი კვლევითი ნაშრომისთვის.

პროგრამის ხელმძღვანელმა, არჩილ აბაშიძემ განცხადა, რომ „აკადემიური წერა“ პროგრამაში იყო სავალდებულო არჩევითი ინგლისური ენის სახით, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი ამ სასწავლო კურსს გაივლის.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაში არის „საჯარო ადმინისტრირების“ სასწავლო კურსი. პროგრამასაც ეს სახელწოდება ჰქვია და კვალიფიკაციაც ამ სახელით ენიჭება კურსდამთავრებულს. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტური იყო ეს.

არჩილ აბაშიძემ აღნიშნა, რომ ეს არის შესავალი კურსი საჯარო ადმინისტრირების. როგორც წესი ამ კურსს ბევრ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჰქვია „შესავალი საჯარო მმართველობაში“. ეს საგანი ისწავლება პირველივე სემესტრში და ძირითად ამ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს ზოგადი წარმოდგენა ექმნება „საჯარო მმართველობაზე“.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაში „ფინანსური მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი არის სავალდებულო საგნების, ხოლო „საჯარო ფინანსები“ არჩევით საგნების ჩამონათვალში. მას აინტერესებდა, რამდენად სწორი იყო ეს. ასევე რამდენად შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსები აღნიშნულ საფეხურს.

არჩილ აბაშიძემ განაცხადა, რომ „საჯარო ფინანსები“ შეიქმნა იმ მიზნით, რომ სტუდენტს მეტი ცოდნა მისცემოდა სახელმწიფო ბიუჯეტსა და გადასახადების შესახებ. მისი თქმით, დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს იმ შენიშვნას, რომელიც აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსობრივ ნაწილს მიემართებოდა. პროგრამაში არსებობს „მუნიციპალური სამართალი“, რომელშიც ფინანსურ ნაწილზე აქცენტირება გაკეთებულია. დაწესებულებას არაერთი მოსაზრება მოუსმენია როგორც ექსპერტების, ისე საბჭოს წევრებისგან

„ფინანსური მენეჯმენტისა“ და „საჯარო ფინანსების“ ადგილთან დაკავშირებით, რომელიც არ არის საერთო. შესაბამისად, ეს ნაწილი დაწესებულებისგან შესაძლებელია რჩევის სახით იყოს მიღებული.
ნიკოლოზ ყაველაშვილმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამის შექმნაში დიდია ამერიკელების წვლილი. მათი მოთხოვნა იყო, რომ დაწესებულებას სტუდენტებისთვის ესწავლებინა „ფინანსური მენეჯმენტი“, რადგან „საჯარო ფინანსები“ იფარებოდა ეკონომიკის საგნებით. პრაქტიკა აჩვენებს, რომ სტუდენტისთვის ყოველთვის პირველი საგანია „ფინანსური მენეჯმენტი“, რადგან არასდროს გაუვლია მას ეს პირველ საფეხურზე. შესაბამისად, მეტად გართულება ამ სილაბუსის შეუძლებელია.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის შინაარსი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ის არის გამოტანილი და აღწერილი პროგრამის შედეგებში. ამ უკანასკნელში არ ჩანს დამოუკიდებლად კვლევის წარმოების უნარი. მაგალითად, „კრიტიკული ანალიზი“, „სტრატეგიული დაგეგმვა“, „სტრატეგიული გადაწყვეტილება“ და ა.შ. მან აღნიშნა, რომ ის ვერ ხვდებოდა მე-6 შედეგი როგორ შეიძლება შეფასებულიყო. გარდა ამისა, პროგრამის შედეგებში არ ჩანდა პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის საკითხი. მას აინტერესებდა, როგორი იყო დაწესებულები პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.
ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ სწავლის შედეგებში ყველაფერი ვერ იქნება ასახული. დეტალიზაცია და ფრაგმენტაცია სწავლის შედეგების არ არის მიზანშეწონილი. შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს არ უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ დაწესებულება ყველა კურსის კომპეტენციას ასახავს სწავლის შედეგებში. ამრიგად, სწავლის შედეგები უნდა იყოს აკუმულირებული სახით მოცემული. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში მითითებულია „კრიტიკული ანალიზის უნარი“, „სინთეზის უნარი“ და ა.შ.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, სამაგისტრო ნაშრომების დასკვნები არის უფრო ზოგადი ტექსტი, ვიდრე კონკრეტული შედეგის ან მიგნების აღმნიშვნელი. მაგალითად, ერთ-ერთი სამაგისტრო ნაშრომის დასკვნაში, ჭკვიანი ქალაქის კონცერტის შესახებ მოცემულია, რომ ბათუმისთვის იქნებოდა კარგი, მაგრამ რატომ იქნებოდა კარგი გაუგებარია. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.
პროგრამის ხელმძღვანელმა, არჩილ აბაშიძემ განაცხადა, რომ ეს ყველაფერი სტუდენტზე იყო დამოკიდებული. ზოგიერთი სტუდენტი ახერხებს სიღრმისეულ კვლევას, ხოლო ზოგიერთი ვერა. შესაბამისად, ნაშრომის ხარისხიანად გაკეთება სტუდენტის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 16:46
დასრულებისდრო: 17:05

საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნა. მხოლოდ 1.2 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია და მისი შეფასება ნაცვლად შესაბამისია მოთხოვნებთან განსაზღვრა როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, ასევე 1.4 კომპონენტში დაემატა რჩევა, ხოლო 1.5 კომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, თუმცა კომპონენტის შეფასება არ შეიცვალა. აღნიშნულმა ცვლილებებმა არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი "საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2031 წლის 13 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 13 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების დაკორექტირება დარგობრივ მახასიათებელზე დაყრდნობით;
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში განხორციელდეს არაპირდაპირი მეთოდით მიღებული ინფორმაციის გამოყენების პროცედურის ფორმალიზება;
- რეკომენდებულია, თემა „ადამიანის ფუნდამენტური უფლებები“ დაემატოს როგორც ახალი საგანი ან როგორც არსებული საგნის ნაწილი.
- რეკომენდებულია, პროგრამაში ცალსახად იყოს გათვალისწინებული ევროინტეგრაციასთან და ევროკავშირთან თანამშრომლობასთან დაკავშირებული კურსი.
- რეკომენდებულია, სტაჟირების კომპონენტი სავალდებულო იყოს თითოეული სტუდენტისთვის.
- რეკომენდებულია ფინანსური მენეჯმენტი და საჯარო ფინანსების სილაბუსების თემატიკა და ლიტერატურა მოვიდეს შესაბამისობაში სწავლების საფეხურთან;
- სხვადასხვა შეფასების ფორმებისთვის გამოყენებული შეფასების კრიტერიუმების ქულობრივი სქემა მოიცავს რუბრიკებს შორის ქულების არათანაბარ დიაპაზონს (ზოგიერთი 6 - 9 ქულას შორის და სხვები 2-3 ქულას შორის). შესაბამისად, რეკომენდებულია სტუდენტებისთვის უზრუნველყოთ გამჭვირვალობა რუბრიკებს შორის ქულების უფრო ვიწრო და თანასწორი განაწილების შესახებ.
- რეკომენდებულია, პროგრამის შემუშავების და განვითარების თვითშეფასების პროცესის გადახედვა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა, პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცედურის ფორმალიზებით და გაცნობით.

რჩევები:

- სასურველია საჯარო ფინანსები გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კომპონენტში;
- სასურველია დაკონკრეტდეს, თუ როგორ იზომება სწავლის შედეგი „წვლილის შეტანა საჯარო სექტორში ეთიკური სტანდარტების დანერგვაში“.
- სასურველია, სავალდებულო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული იყოს საჯარო

- შესყიდვები და საჯარო ტენდერები.
- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს შესაძლებლობა ჰქონდეს მიიღოს უფრო ინტენსიური პრაქტიკული მხარდაჭერა და ტრენინგი სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის უნარების გაღრმავების მიზნით.
- სასურველია პროგრამაში შემდგომში განვითარდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი შეფასების მეთოდები, ინსტრუმენტების, სასურველი სამიზნე ნიშნულების, მიზნიდან გადახრის დასაშვები ზღვრების და რეაგირების მექანიზმების დეტალურად ჩამოყალიბებით, იმ შემთხვევისათვის თუ არ შესრულდება სამიზნე ნიშნულები.
- სასურველია, სილაბუსებში თვალსაჩინოდ იყოს გათვალისწინებული ევროინტეგრაციის და ევროპეიზაციის, ასევე ადამიანის უფლებების თემები.
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში მიეთითოს შენიშვნა, თუ რა შემთხვევაში მიიჩნევა ნაშრომში პლაგიატის არსებობა და ვინ იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულის შესახებ.
- სასურველია, მოწვეული აკადემიური პერსონალის დაფინანსების შესაძლებლობების ხელშეწყობა, მათი უნივერსიტეტის აკადემიურ / კვლევით საქმიანობაში ჩართულობის გასაძლიერებლად.
- სასურველია, გამოიყენოთ განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული კოლეგების ლექციებზე დასწრებას და ერთმანეთში უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

სხდომაზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება.

3. მესამე საკითხი: შპს ალტე უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლებისენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა -120
4. მისანიჭებელიკვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
0413

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი რუსუდან სეთურიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამას ბოლო აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წელს. მისი თქმით, შპს ალტე უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა კონსტრუქციულ და მშვიდ გარემოში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულებას დაემატა კვალიფიციური და პროფესიონალი ახალი ადმინისტრაციული პირები.
შპს ალტე უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტებს, კერძოდ, მეორე და მესამე სტანდარტი მეტწილად, ხოლო პირველი, მესამე და მეხუთე სრულად შესაბამისობაშია სტანდარტებთან. პროგრამის მიმართ გაიცა რვა რეკომენდაცია და თექვსმეტი რჩევა. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა შეფასების ობიექტურობის და ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების განხორციელება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა მაგისტრანტების ხელმძღვანელებისთვის ყოვლისმომცველი პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავებას, რომელიც ორიენტირებული იქნება კვლევის მეთოდოლოგიაზე, ციტირების სტილებზე, კვლევის ეთიკაზე, ხელმძღვანელობის უნარებზე და ბიზნესის ადმინისტრირების კვლევის თანამედროვე ტენდენციებზე. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა დაწესებულების მიერ პროგრამისათვის ან პრაქტიკული უნარების განვითარების აქტივობების გაძლიერებას სასწავლო გეგმის ფარგლებში, ან სპეციალური პრაქტიკუმის/სტაჟირების კომპონენტის დამატებას. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა ხელმძღვანელების კვალიფიკაციის შეფასების დეტალური პროცესის დანერგვას, რაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელის როლის მინიჭებას მხოლოდ შესაბამისი გამოცდილების და მოტივაციის მქონე პირებისთვის. მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა დოქტორის ხარისხის მქონე აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდას იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს უწყვეტი ხელმძღვანელობა და აკადემიური საზოგადოების გაძლიერება. მეექვსე რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების დანერგვას, უნარების გაუმჯობესებაზე და ცოდნის გაზიარებაზე ორიენტირებით. მეშვიდე რეკომენდაცია ეხებოდა სამეცნიერო კვლევებისთვის ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსების მუდმივად განახლებას, როგორიც არის ლაბორატორიული აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზები, იმისათვის, რომ კვლევის თანამედროვე საჭიროებებს დაწესებულება არ ჩამორჩეს. მერვე რეკომენდაცია ეხებოდა მონიტორინგის ძლიერი სისტემის დანერგვას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ხელმძღვანელების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულება და რეგულაციებით გათვალისწინებული მხარდაჭერის დონე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
შპს ალტე უნივერსიტეტის პრეზიდენტი, რამაზ კუკულაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა, ნინო ალავიძე, ასევე მადლობა გადაუხადა როგორც ექსპერტებს, ისე ცენტრის წარმომადგენლებს გაწეული შრომისთვის. ნათია ზედგენიძე

- ჯიშკარიანმა მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობს რეკომენდაციაში მოცემული მსგავსი მექანიზმი, თუმცა უნივერსიტეტი მაინც იზიარებს ამ რეკომენდაციას იმიტომ, რომ დაწესებულების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაძლიერება. მისი თქმით, უნივერსიტეტი იზიარებს მეოთხე რეკომენდაციას, რომელიც ეხება მაგისტრანტების ხელმძღვანელობას და მეექვსე რეკომენდაციას, რომელიც ხელმძღვანელების კვალიფიკაციის შეფასების დეტალურ პროცესთან მიმართებით იყო გაცემული. მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება ნაწილობრივ იზიარებს ამ რეკომენდაციას. ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია იმ აკადემიური პერსონალის ცხრილი, რომელიც უნივერსიტეტს ამ პროგრამაზე ჰყავს. საუბარია სულ 20 აკადემიურ პერსონალზე. დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი გაიმართა 1-2 ოქტომბერს და ამ პერიოდამდე გამოცხადებული იყო აკადემიური კონკურსი არა მხოლოდ ამ, არამედ სხვა პროგრამებზეც. შესაბამისად, პროცესი უკვე დაწყებული იყო და რეალურად 18-20 ნოემბრისთვის უნივერსიტეტს „ბიზნესის ადმინისტრირების“ მიმართულებით აკადემიურ თანამდებობებზე აყვანილი ჰყავდა 7 გამარჯვებული კონკურსანტი. ამჟამად ნაცვლად 20 აკადემიური პერსონალისა აკადემიურ თანამდებობაზე არის 27 აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, კარგი იქნება თუ აკრედიტაციის საბჭო გაითვალისწინებს ამ ფაქტობრივ გარემოებას და აღნიშნულ რეკომენდაციას გადაიტანს რჩევებში.

ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული და სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლებშიც კონკრეტული ინდიკატორებით არის განსაზღვრული პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, ბიუჯეტი და ა.შ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ 4.3 ქვესტანდარტი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული პერსონალის კომპონენტს. შესაბამისად, თუ ეს რეკომენდაცია ისევ რეკომენდაციის სტატუსით დარჩება, მაშინ კარგი იქნება თუ საბჭო გაითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ეს რეკომენდაცია მიემართება არა ადმინისტრაციულ, არამედ აკადემიური პერსონალს. მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ იზიარებდა ამ რეკომენდაციას გარკვეული მიზეზის, კერძოდ, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის, საბიბლიოთეკო, სამეცნიერო ბაზებისა და ღონისძიებების გამო. მისი თქმით, ბიუჯეტი პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს. 2021-2022 სასწავლო წლის საბიბლიოთეკო ბიუჯეტი შეადგენდა დაახლოებით 37 000 ლარს. ის მოიცავდა ყველაფერს, რომელიც კვლევით სწავლებას ეხებოდა. 2023-2024 წლებში მარტო ბიბლიოთეკის ბიუჯეტიდან სილაბუსით გათვალისწინებული წიგნადი ფონდის შესაძენად დაიხარჯა 53 000 ლარზე მეტი, რომლიდანაც 1 400 სავალდებულო ლიტერატურის შეძენას და ამ ლიტერატურიდან 330 კონკრეტულად „ბიზნესის ადმინისტრირების“ მიმართულებას მოხმარდა. მან აღნიშნა, რომ 2020-2023 წლებში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას წვდომა ჰქონდა და აქვს 12 ელექტრონულ სამეცნიერო ბაზაზე. ბაზების უმრავლესობის ჩამონათვალი დაწესებულების ვებგვერდზეც არის ხელმისაწვდომი. 2024 წელს დაემატა “კლარიტივის” სამეცნიერო ბაზაზე, კერძოდ, პროქვესტზე წვდომა. ამ ეტაპზე ის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები, რომლებიც დაწესებულებაში არსებობს, საკმარისია. შესაბამისად, ამ მიმართულებით უნივერსიტეტი მყარად დგას. აქტივობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობს წინასწარ გაწერილი გეგმა, რომლის მიხედვითაც როგორც პერსონალი, ისე სტუდენტები იღებენ სამეცნიერო კვლევით ნაწილებთან, საბიბლიოთეკო რესურსებთან და საგრანტო კონკურსებთან დაკავშირებით ინფორმაციას. მეათე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ამ რეკომენდაციას. მისი თქმით, უნივერსიტეტში მონიტორინგის მექანიზმი დანერგილია, თუმცა საჭიროა მისი გაძლიერება უფრო დიდ შედეგებზე გასასვლელად.

ბიზნესის სკოლის დეკანმა, ნანა მიქაშავიძემ, პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ის უფრო რჩევის, ვიდრე რეკომენდაციის ხასიათს ატარებდა. მისი თქმით, პროგრამაში გონივრულად არის ჩაშენებული პრაქტიკული

კომპონენტი. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამაზე მომუშავე ყველა აკადემიური პერსონალი არის პრაქტიკოსი და საკუთარ გამოცდილებას უზიარებს სტუდენტებს, სწავლის მეთოდებში გამოყენებულია „ქეისები“, „სიმულაციური თამაშები“ და სხვა პრაქტიკული სწავლების მეთოდები. გარდა ამისა, ექსტრაკურიკულური აქტივობებითაც დაწესებულება დამატებით ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკული უნარების განვითარებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაში, სადაც საუბარია სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაზე, მოცემულია შემდეგი: „FX-ი ნიშნავს, რომ სტუდენტს ნაშრომის დასაცავად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით შედეგის გაუმჯობესებისა და დამატებით დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება. F ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი. ნაშრომი 35-40 ან 55-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს მომდევნო სემესტრში თავიდან აქვს შესასწავლი“. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული ინფორმაცია განსხვავდებოდა მესამე ბრძანებაში სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, როგორი იყო დაწესებულების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებულია ორი განსხვავებული შეფასება. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ თუ სტუდენტმა მიიღო FX-ი, მაშინ ის ჩვეულებრივად გააგრძელებს მუშაობას იგივე თემაზე, ხოლო F-ის შემთხვევაში ახლიდან წარმოადგენს ახალ თემას. შესაბამისად, ერთისთვის ეს არის ერთ სემესტრიანი, ხოლო მეორისთვის რამდენიმე თვიანი სამუშაო.

ექსპერტმა ალექსანდრე კალანდაძემ განაცხადა, რომ ის, რაც მინისტრის მესამე ბრძანებაში არის აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით, ცალსახად გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ ეს პროგრამაშიც ყველასთვის იქნებოდა ხელმისაწვდომი.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნაში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „გამოვლინდა, რომ მაღალი ქულებით შეფასებულ სამაგისტრო ნაშრომებში შეინიშნებოდა ვალიდური ლიტერატურის სიმწირე და არასანდო წყაროების ინტენსიურად გამოყენება. მაგალითად, ერთ ნაშრომში ფიქსირდებოდა "Facebook" -ის ბმულების სიმრავლე”, “გამოვლინდა პრობლემები ნაშრომის აგებულებასთან და სტრუქტურასთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ კვლევის დაგეგმვის მნიშვნელოვან ასპექტებს.” ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამის შესაბამისი რჩევები და რეკომენდაციები განხილული იქნებოდა მესამე სტანდარტის 3.2 ქვესტანდარტში, თუმცა გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებში საუბარია მხოლოდ ხელმძღვანელის კვალიფიკაციასა და მის ამაღლებაზე. მას აინტერესებდა, მხოლოდ ხელმძღვანელის კვალიფიკაციის ამაღლებით და შესაბამისი სამუშაოების ჩატარებით რამდენ არის შესაძლებელი აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.

ექსპერტმა ანი ქვათაძემ აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციაზე მას არ უმუშავია, თუმცა იზიარებდა მის შინაარს. როდესაც ექსპერტები გაესაუბრნენ ნაშრომების ხელმძღვანელებს, ისინი „Facebook”-ის და „ვიკიპედიის“ გამოყენების პრობლემას ვერ ხედავდნენ პირველად წყაროებში.

ექსპერტმა ალექსანდრე კალანდაძემ განაცხადა, რომ ამ სტანდარტის მეორე კომპონენტის ერთ-ერთი კრიტერიუმი ითვალისწინებს თავად სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებასა და განვითარებას. შესაბამისად, ამ სტანდარტის კრიტერიუმის მოთხოვნიდან გამომდინარე ასეთი სახით ჩამოყალიბდა ეს რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, არჩეული სასწავლო კურსების კომპონენტში მოცემულია შემდეგი სასწავლო

კურსები: „ინვესტიციების მართვა“, „საერთაშორისო ფინანსები და ბაზრები“, „ფინანსური რისკები და დერივატივები“, „კაპიტალის ბაზრები და „ფინანსური ინსტიტუტები“ და „ფინანსური ბაზრების ანალიზი“. მას აინტერესებდა, რატომ გახდა აუცილებელი ამდენი ერთი მიმართულების სასწავლო კურსების შეთავაზება სტუდენტისთვის. ასევე რამდენად არის ამ სასწავლო კურსებს შორის გამორიცხული გადაფარვის ნაწილი.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ შესანიშნავად იცის პირველადი და მეორადი წყაროს მნიშვნელობა. მეწარმეებს საკუთარი გვერდი აქვთ გაკეთებული სოციალურ ქსელში და დაწესებულება, რა თქმა უნდა, სტუდენტს არ უკრძალავს მის გამოყენებას. დაწესებულება მხოლოდ აკადემიურ წყაროებს არ ეყრდნობა სტუდენტისათვის მიცემული დავალების შესრულების შემთხვევაში. შესაბამისად, სოციალური ქსელის გამოყენების მიმართ უნივერსიტეტი არანაირ შეზღუდვებს არ დააწესებს არც ახლა და არც მომავალში. მისი თქმით, აღნიშნულ სასწავლო კურსებს კითხულობდნენ სხვადასხვა ლექტორები. თუ ერთი კურსი მეტ აქცენტს აკეთებს იმაზე, თუ როგორ უნდა მოახდინოს კურსდამთავრებულმა ინვესტირების ანალიზი, მეორე კურსი უფრო ინსტიტუტებზე ამახვილებს ყურადღებას, მეოთხე კაპიტალის ინვესტირების წესზე და ა.შ. შესაძლებელია მათ რაღაც საკითხებში თანხვედრა ჰქონდეთ, თუმცა საგნის მთლიანი ნაწილი მაინც განსხვავებულია.
ნანა მიქაშავიძემ აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებას ფინანსურ სექტორთან კარგი და ძლიერი კავშირი აქვს, არჩევით კურსებში ამ რაოდენობის საგნების არსებობა უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს მაგისტრანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, გაცემული რეკომენდაციებიდან სამი რეკომენდაცია ეთმობა მაგისტრანტების ხელმძღვანელობას. მას აინტერესებდა, ფარავდა თუ არა ამ საკითხთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები ერთმანეთს.
ექსპერტმა ქეთი ცეცხლაძემ განაცხადა, რომ რეკომენდაციების დუბლირება გამოიწვია სხვადასხვა ექსპერტის მიერ მოწოდებულმა მსგავსი შინაარსის მქონე რეკომენდაციებმა. შესაბამისად, შესაძლებელია მათი ერთ რეკომენდაციად ჩამოყალიბება.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 17:57
დასრულებისდრო: 18:18

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2031 წლის 13 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე -
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ 6 ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011

წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ალტე უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 13 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- ·რეკომენდებულია, პროგრამამ ან გააძლიეროს პრაქტიკული უნარების განვითარების აქტივობები სასწავლო გეგმის ფარგლებში, ან შეიტანოს სპეციალური პრაქტიკუმის/სტაჟირების კომპონენტი.
- შეფასების ობიექტურობის და ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, შპს ალტე უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომის სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შეფასების განხორციელება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია, მაგისტრანტების ხელმძღვანელებისთვის ყოვლისმომცველი პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება კვლევის მეთოდოლოგიაზე, ციტირების სტილზე, კვლევის ეთიკაზე, ხელმძღვანელობის უნარებზე და ბიზნესის ადმინისტრირების კვლევის თანამედროვე ტენდენციებზე;
- რეკომენდებულია, დაინერგოს ხელმძღვანელების კვალიფიკაციის შეფასების დეტალური პროცესი, რაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელის როლის მინიჭებას მხოლოდ შესაბამისი გამოცდილების და მოტივაციის მქონე პირებისთვის;
- რეკომენებულია გაზარდოთ დოქტორის ხარისხის მქონე აფილირებული პერსონალის რაოდენობა იმისათვის, რომ უზრუნველყოთ უწყვეტი ხელმძღვანელობა და გააძლიეროთ აკადემიური საზოგადოება;
- რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები) დანერგოთ უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, უნარების გაუმჯობესებაზე და ცოდნის გაზიარებაზე ორიენტირებით;
- რეკომენდებულია მუდმივად განაახლოთ სამეცნიერო კვლევებისთვის ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსები, როგორიც არის ლაბორატორიული აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზები, იმისათვის, რომ მიჰყვეთ კვლევის თანამედროვე საჭიროებებს;
- რეკომენდებულია მონიტორინგის ძლიერი სისტემის დანერგვა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ხელმძღვანელების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულება და რეგულაციებით გათვალისწინებული მხარდაჭერის დონე.

რჩევები:

- სასურველი არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალის გამდიდრება სხვადასხვა მიმართულებით;
- სასურველია, სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსს "ბიზნესის კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები" დაემატოს SPSS - ის პროგრამული პაკეტი.
- სასურველია, გაძლიერდეს ძალისხმევა სტუდენტების უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის სერვისებთან დაკავშირებით სტუდენტების ინფორმირების შესახებ, განსაკუთრებით კი იმ სერვისების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფილია სტუდენტების ომბუდსმენის მიერ.

- სასურველია, განხორციელდეს ისეთი ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს ძლიერი კვლევითი კულტურის ჩამოყალიბებას და მოტივაციას მისცემს როგორც ხელმძღვანელებს, ასევე სტუდენტებს მაღალი ხარისხის კვლევითი შედეგების მისაღწევად.
- სასურველია, შესაბამისი სამეცნიერო პერსონალის აყვანა პროგრამის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის და გაფართოების მიზნით;
- სასურველია პროგრამის აკადემიური ხარისხის ასამაღლებლად განხორციელდეს არსებული ასოცირებული პროფესორების წახალისება ან მხარდაჭერა დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად, ან ახალი დოქტორის ხარისხის მქონე ასოცირებული პროფესორების მოზიდვა.
- მიუხედავად იმისა, რომ მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს მნიშვნელოვან დარგობრივ გამოცდილებას, სასურველია გაიზარდოს ისეთი აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომლებსაც ექნებათ როგორც პრაქტიკული, ასევე კვლევითი გამოცდილება.
- სასურველია გაფართოვდეს გამოქვეყნებების თანადაფინანსების და სრული ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობები იმისათვის, რომ მეტ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს წვდომა აღნიშნულ რესურსებზე, განსაკუთრებით მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნების და პრესტიჟულ კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება.
- სასურველია, გამოქვეყნების პროცესის უკეთ გაცნობის მიზნით უნივერსიტეტმა რეგულარულად განახორციელოს სემინარები და ტრენინგები, განსაკუთრებით კარიერის დასაწყისში მყოფი მკვლევრებისთვის ან იმ პირებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების გამოცდილება.
- სასურველია, გაიზარდოს საერთაშორისო კვლევით პროგრამებში მონაწილეობა, როგორიც არის ერაზმუსის სასწავლო ვიზიტები და სხვა გაცვლითი ინიციატივები, აღნიშნული შესაძლებლობების აქტიური პოპულარიზაციით და საჭირო ფინანსური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით.
- სასურველია, გაიზარდოს კვლევის, აკადემიური გაცვლების და უცხოურ უნივერსიტეტებთან პარტნიორობის შესაძლებლობები.
- სასურველია, ცოდნის მართვის უფრო დახვეწილი პროცედურების ორგანიზება. აღნიშნული გულისხმობს, რომ უმჯობესია შეფასებების ძირითადი შედეგები უფრო მოქნილი ფორმით იყოს გაზიარებული დაინტერესებულ მხარეებთან.
- სასურველია, უნივერსიტეტის ზედა რგოლის მენეჯმენტმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა აიღონ მტკიცე ვალდებულება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებული ლიტერატურის ავტორების საავტორო უფლებების დაცვის მიმართ.
- სასურველია, არსებული გამოცდის შედეგების გასაჩივრების მექანიზმის მოდიფიცირება, რათა უკეთ უზრუნველყოს ზეპირი გამოცდის შედეგების გასაჩივრების პროცესი.
- სასურველია, მიმოხილვის პროცესის ფორმალიზება, რათა ბიბლიოთეკის მასალები შეესაბამებოდეს უახლეს კვლევებსა და ინდუსტრიულ ტენდენციებს.
- სასურველია რეგულარულად გადახედოთ და განაახლეთ სახელმძღვანელოები და დამხმარე საკითხავი მასალები როგორც ძირითადი, ისე არჩევითი კურსებისთვის. უზრუნველყავით სტუდენტების წვდომა უახლეს და რელევანტურ ლიტერატურაზე, იმისათვის, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყოს უახლესი მასალა და ინფორმაცია.
- სასურველია დამსაქმებლების მოტივირება, რათა მეტად ჩაერთონ პროგრამის შემუშავების პროცესში.

4. მეოთხე საკითხი: შპს ალტე უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლებისენა - ქართული
4. მისანიჭებელიკრედიტებისრაოდენობა -180
4. მისანიჭებელიკვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
5. დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
0413

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას
მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა რუსუდან სეთურიძემ აღნიშნა, რომ „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა არის ახლად შემუშავებული 180 კრედიტიანი პროგრამა, რომელიც ეფუძნება უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედ 240 კრედიტიან პროგრამას, რომლის ბოლო აკრედიტაცია განხორციელდა 2018 წლის 14 ნოემბერს. მისი თქმით, პროგრამის მიმართ გაიცა ორი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად ინგლისური ენა 1 (A1-A2), ინგლისური ენა 2 (B1) და ინგლისური ენა 3 (ბიზნეს ინგლისური) სასწავლო კურსებისათვის შესაბამისი კრედიტების გამოყოფას ან საკონტაქტო საათების რაოდენობის გაზრდას ან/და სწავლების მეთოდოლოგიის შეცვლას ან/და სხვა საშუალებების გამოყენებას. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა თანადაფინანსებისა და სრული ფინანსური მხარდაჭერის გაფართოებას პუბლიკაციებისთვის, რაც უზრუნველყოფს მეტი აკადემიური პერსონალის წვდომას ამ რესურსებზე, განსაკუთრებით მაღალ იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებსა და პრესტიჟულ კონფერენციებში მონაწილეობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა მიქაშავიძემ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია რეკომენდაციაა. მისი თქმით, დაწესებულება ცდილობს, რომ პროგრამაში გააძლიეროს ინგლისური ენის კომპონენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნის ნარატიულ ნაწილში წერია შემდეგი: „ექსპერტების აზრით, პროგრამა უნდა მოიცავდეს მინიმუმ 5 ECTS-ის მოცულობის საწარმოო პრაქტიკას“. მან აღნიშნა, რომ ეს მიგნება არ იყო ასახული არც რჩევებში და არც რეკომენდაციებში. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. ექსპერტმა რუსუდან სეთურიძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხს დასკვნაში მოცემული პირველი რჩევა ეხებოდა, კერძოდ, სასურველია პროგრამას დაემატოს საწარმოო პრაქტიკა. თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაში მოცემულია საინტერესო სასწავლო კურსი „გუნდური ანტრეპრენული პროექტი“, რომელიც პირველივე კურსზე ისწავლება. მისი სწავლის შედეგები შემდეგია: შეიმუშავებს ფინანსურ პროგნოზებს ფინანსური სიმულირებისა და საბაზისო სტატიკური მეთოდების გამოყენებით, ახალი ბიზნესის წამოწყებისათვის შეიმუშავებს ბიზნეს გეგმას, განსაზღვრავს ბიზნესის სავარაუდო ღირებულებას, მოამზადებს ინვესტორის მოთხოვნაზე მორგებულ პრეზენტაციას. აფასებს ბიზნესზე იდეის პოტენციალს და ა.შ. მას აინტერესებდა, რამდენად რეალისტური იყო პირველი კურსის სტუდენტის გასვლა ამ შედეგებზე მაშინ, როდესაც მას არც ეკონომიკა, არც მარკეტინგი და არც ფინანსები აქვს ნასწავლი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა მიქაშავიძემ აღნიშნა, რომ ამ კურსის სწავლების მიზანი პირველ კურსზე არის ის, რომ სტუდენტს ინტერესი გაუჩინოს მცირე ბიზნესის მიმართულებით. აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ის რთული ბიზნესი, რომელსაც პრერეკვიზიტები სჭირდება. როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ამ სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი ადვილად ძლებს იმ რთულ საგნებს, რომლებიც მომდევნო სასწავლო კურსზე ისწავლება. თამარ ლომინაძემ აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა სწავლის შედეგების დაკორექტირდება, რათა არ რჩებოდეს შთაბეჭდილება, რომ ამ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს ეცოდინება ეს ყველაფერი.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, ასახული იყო თუ არა კონცენტრაციების სასწავლო კურსების სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგებში. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულება პირველ კურსზე ცდილობს სტუდენტს ემპირიულად მისცეს დარგის შესახებ ცოდნა. სტუდენტს პირველ კურსზე გააზრებული აქვს ის თუ რას წარმოადგენს „ბიზნესი“. მომდევნო კურსებზე დაწესებულება ცდილობს, რომ სტუდენტს შესთავაზოს უფრო კონკრეტული საგნები. კონცენტრაციები არის გაღრმავება ყოველივე იმისა, რასაც სტუდენტი მაღალ კურსზე სწავლობს. გარდა ამისა, კონცენტრაციები ხელს უწყობს სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის დაწერაში და საკუთარი უნარების ძიებაში.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტურია კრედიტების ის რაოდენობა, რომელიც საბაკალავრო ნაშრომს ეთმობა. ასევე განსაზღვრული იყო თუ არა მინიმალური ან მაქსიმალური გვერდების რაოდენობა საბაკალავრო ნაშრომისათვის. ექსპერტმა რუსუდან სეთურიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებს საუბარი ჰქონდათ როგორც სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან. მათ აღნიშნეს, რომ საბაკალავრო ნაშრომი იყო ერთგვარი შეჯამება იმ ცოდნისა, რომელი მიმართულებითაც ისინი აპირებდნენ მომავალში მუშაობას. შესაბამისად, ამიტომ არ გაიცა რეკომენდაცია ან რჩევა ამ საკითხთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა საბაკალავრო ნაშრომის გვერდების რაოდენობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ზუსტად არ იცოდა სტანდარტი რამდენი იყო, თუმცა სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომი მოეთხოვებოდა 20 გვერდის ფარგლებში. სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის თემას კონკრეტული საწარმოს მაგალითზე იღებს.

სხდომაზე ეგამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 18:33
დასრულებისდრო: 18:40

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2031 წლის 13 დეკემბრამდე,

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ალტე უნივერსიტეტის"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2031 წლის 13 დეკემბრამდე,

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასურველი სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად ინგლისური ენის 1 (A1-A2), ინგლისური ენის 2 (B1) და ინგლისური ენის 3 (ბიზნეს ინგლისური) სასწავლო კურსებისათვის შესაბამისი კრედიტების გამოყოფა ან საკონტაქტო საათების რაოდენობის გაზრდა ან/და სწავლების მეთოდოლოგიის შეცვლაან/და სხვა საშუალებების გამოყენება.
- რეკომენდებულია გაფართოვდეს თანადაფინანსება და სრული ფინანსური მხარდაჭერა პუბლიკაციებისთვის, რაც უზრუნველყოფს მეტი აკადემიური პერსონალის წვდომას ამ რესურსებზე, განსაკუთრებით მაღალ იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებსა და პრესტიჟულ კონფერენციებში მონაწილეობისთვის.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ. აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, შემდეგი საკითხის განხილვას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **გოჩა თუთბერიძემ.**

5. მეხუთე საკითხი: ჩრდილოეთ კენტუკისა და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის “ბიზნეს ინფორმატიკის” ერთობლივ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნეს ინფორმატიკა
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ინგლისური
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 120
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი: ინფორმატიკის მაგისტრი;

ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი: ბიზნეს ინფორმატიკის მაგისტრი;
6. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი 0613

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ბიზნეს ინფორმატიკის" საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემული იყო 10 რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულება სრულად შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, მარი სილაგაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დაწესებულებამ პროგრამის მიმართ გაცემული ყველა რეკომენდაცია შეასრულა.
საბჭოს წევრებს საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ექსპერტის მიმართ დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 18:49
დასრულებისდრო: 18:53
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ჩრდილოეთ კენტუკისა და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ბიზნეს ინფორმატიკის" ერთობლივ საბაკალავრო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, ჩრდილოეთ კენტუკისა და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ბიზნეს ინფორმატიკის" ერთობლივ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 13 დეკემბრის 18:55 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა